№ 40 12 ოქტომბერი 1873 12 ოქტომბერი № 40

გაზეთის ფასი

	გაგზავნით.	გაუგზავნ.
ერთის წლისა	— 6 მ. კაპ.	5 მან. კაპ.
ნახევარის წლისა	— 3 „ „	2 „ 50
სამის თვისა	— 1 „ 75	1 „ 50
ერთის თვისა	— „ „ 60	„ „ 50
ცალკე ნომრისა	— „ „ 12	„ „ 10

განცხადება, „დროებაში“ დასაბეჭდათ, მიიღება სხვა-და-სხვა ენებზე. ფასი განცხადებისა ჩვეულებრივის ასოებით, სტრიქონზე 4 კაპ. და ასო-მთავრულებით — ასოზე $1/4$ კაპ.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მერვე

ხელის-მოწერა მიიღება

მიიღება ტფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, სოლოლაკზე, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

ქუთაისში: გერასიმე კალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სვ. მესხთან.

გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „ДРОЭБА“.

გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

შინაარსი

„დროების“ განცხადება — საქართველო: ვენახის პატრონობა, ნ. სკანდელისა — „დროების“ კორრესპონდენცია: ქუთაისიდამ — პეტერბურგიდამ. — წვრილი ამბები. უცხო ქვეყნები: თანამედროვე შენიშვნები და სურათები. — ნარევი: კიდევ ერთი გზა დაღუპვისა, ანდ. არწრუნისა. — ზემოთის სამართალი, გ. ზორისელისა. — „კრებულის“ განცხადება.
ფელეტონი: მიმავალის ფიქრები.

„დროება“ 1874

გამოვა იმავე პროგრამით და ამავე პირების თანამშრომლობით, როგორც წელს გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისს — რედაქციის კანტორაში, ივანოვის ბიბლიოთეკაში და მელიქიშვილის სტამბაში. ქუთაისს — გ. კალანდარიშვილთან და სვ. მესხისას.

გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

Въ Тифлисъ, въ контору редакціи газеты „ДРОЭБА.“

„დროება“ ღირება გაგზავნით: ერთი წლით ექვსი მანეთი, და ნახევარი წლით — სამი მან.

„კრებული“ და „დროება“ ერთათ ღირება, აგრეთვე გაგზავნით: ერთი წლით ცხრა მან. და ნახევარი წლით ხუთი მან.

„დროების“ რედაქცია.

საქართველო

ტფილისი, 11 ოქტომბერს 1873

ჩვენი ვენახების გაჭირვებულმა და უიმედო მდგომარეობამ, როგორც იქნა, ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიიქცია. ამ მოკლე ხანში რამდენიმე ვენახის მეპატრონემ ხმა ამოიღო და საშუალების ძებნას შეუდგა თუ როგორ გადაარჩინოს საბოლოო დაღუპვას ეს თითქმის მხოლოდ წყარო ჩვენი ქვეყნის შეძლებისა. ამის თაობაზე ეხლა საკმაოთ ლაპარაკობენ და სწერენ კიდეც, ისე, რომ იმედია ამ მოკლე ხანში საქმესაც შეუდგებიან.

ვაზის ავათმყოფობა ისეთი საქმე როდია, რომელსაც თითოეული ვენახის-მეპატრონე კერძოობით თავს მოუაროს და თავიდამ აიცილებს. დამტკიცებულია, რომ ეს ავათმყოფობა გადამდებია, და რაგინდ კარგათ უპატრონოს კაცმა თავის ვენახს, რაგინდ წამალი წაცხოს ყურძენს, რაგინდ ახალ-ახალი ვაზები ჩარგოს, თუ მის მეზობელს ვენახში ავათმყოფობა უდგია, თუ მისი ზვარი დაჭირიანებულია, თუ ის თავის ვაზებს არ სცვლის და არ უვლის, მოვლილი და ხეირიანათ ნაპატრონევი ვენახიც მალე წახდება და მასზე დადებული ღვაწლი და დახარჯული ფული ამაოთ დაკარგული იქნება. ამისთანა საზოგადო სნეულებას, ამგვარ საყოველთაო გაჭირვებას მარტო საერთო პატრონობა და შეერთებული, საყოველთაო მოვლა და ღვაწლი მოუხდება. თითოეული ვენახის მეპატრონის სარგებლობა თხოულობს სხვა მეპატრონეების ვენახების ხეირიან მოვლას და პატრონობას, სწორეთ ისე, როგორც მის საკუთრისას, ამიტომ რომ სხვისას თუ სნეულობა ჩარჩა, მისი საკუთარი ვენახიც მალე ხელმეორეთ წახდება, რაგინდ ხეირიანათ მოვლილი და ნაწამლი იყოს.

მაშასადამე ვენახის სნეულობასაც საერთო წამლობა სჭირია, ამ საქმესაც საზოგადო პატრონობა მოუხდება, და ჩვენებური ვენახის-მეპატრონეები ყველაზე უწინ იმას უნდა ცდილობდენ, თუ როგორ შეიკრიბონ ერთათ, რა საშუალებით დათანხმდენ, რა ნაირი საერთო მოქმედება და საშუალება გამოძებნონ ისეთი, რომ ჩვენში ვაზის სნეულობა მოისპოს და ვენახების მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ამ საქმის თაობაზედ შეკრება, მოლაპარაკება, დათანხმება, ხარჯის გაწევა ღირს, თუ კი ჩვენს საზოგადოებას და ჩვენებურ მამულის-მეპატრონეებს ცოტაოდენი გამჭრიახობა და გონიერება აქვთ... მაშ რატომ არ იკრიბებიან ისინი, რისთვის არ ეძებენ ამ გასაჭირიდამ გამოსასვლელ ღონისძიებას, მცოდნე პირებს რატომ არ იბარებენ და არ გამოკითხვენ, მეცნიერებისაგან მოძებნილ გზას და საშუალებებს რატომ არ ხმარობენ, რატომ თითოეული მათგანი თავის მეზობლებს არ უახლოვდება და მათთან საერთო ჭირში საერთო ღონისძიებას არ ეძებს და არ ხმარობს?...

ფელეტონი

მიმავალის ფიქრები

მე დღეს ძალიან გაჯავრებულს გულზედ ავდექი. არ მინდა შევხედო ქვეყანას: ოჰ რა კუპრის ფერი დევს იმას ჩემ თვალში. თვალების უბე უნებურათ გადაეფარა ჩემ თვალებს, მაგრამ მაინც ვხედავ. რას ვხედავ? ვხედავ, რომ ის ჩემი სასიამოვნო კუთხე, რომლის ბედნიერებისათვის ჩემს თავს ვსწირავდი, ის მშვენიერი ქვეყანა, რომლის სახე საყვარლის სურათათ მქონდა წარმოდგენილი, რომელსაც ვეტრფოდი, ვეხალისებოდი, ვეთამაშებოდი, იმითი ვტკბებოდი, მისი განსხვავებული შვენიერების დანახვა იყო მხოლოდ ჩემი სამოთხე და ამ მდგომარეობაში ტყულათ რომ ვთქვა ადექ ცეცხლში ჩავარდიო, ჩავარდებოდი, უკან არ მოვიხედავდი, იმდენათ განწირული იყო ჩემი გული ამ ლამაზი ქმნილებისათვის, — ვხედავდი მეთქი რომ ეს ლამაზი ქმნილება საძაგელ არსებათ გადამექცა. ოჰ, რა შავ ჯოჯოხეთად გადაქცეულა? ეს რა არის! კაცების მაგიერათ კუდიანები ცხოვრებენ, კუდიანები კაცურის თვისებით, ჭკუით, გონებით, შურით, ეშმაკობით, გაიძვერაობით, სითვალთმაქცობით(?) ხარბით, დაუნდობლობით, სიცრუით და სხვ. და სხვ. ნუთუ მძინავს? ნუთუ სიზმარში ვარ, ვთქვი ჩემს გონებაში, გადავისვი შუბლზედ ხელი, თვალები გამოვაჭყიტე. წარმოიდგინე, მკითხველო, რომ თუმცა მშვენიერი დილა იყო, მზის სხივი ქვეყანას მოჰფენოდა, მაგრამ კაცები, ჩემი უწინდელი მეგობრები, საყვარლები, გულის მოპასუხენი, ძმა და მეზობელი სულ ერთგვარათ საძაგლები დარჩენ ჩემ თვალში. ოჰ, რა ცუდი საქმე მიყავ ამომავალო მზის შუქო, რომ ასე საძაგელი სურათები დამანახვე ამ დილას!

***

სურათი პირველი

გაიღო კარი. აააა! ჩემს ძვირფასს ძმას და გულის ვარდს პოლიტიკას გაუმარჯოს! საიდგან მოხვალ?

— შენ სამშობლო კუთხიდგან. შენმა დიდი ხნის უნახაობამ ძალიან შემაწუხა, დამიწყო ლაპარაკი ჩემმა ძველმა ძმამ პოლიტიკამ, შემაწუხა, შემაწუხა ისე, რომ ლამის გავგიჟდი! არა გრცხვენიან, წიგნი რატომ არ მოიწერე, ან ანბავი რატომ არ შეგვატყობინე, გადაიკარგე, გადაიკარგე. ეგრე უნდა? აკიდო ჩვენს ერთმანეთის ძმობასა, მეგობრობას და ერთგულობას საზღვარი არ ექნებაო! გრცხვენოდეს. შენ დამივიწყე, მაგრამ მე კი არა. აი ხედავ, შენმა სურვილმა და მეგობრობამ როგორ წამომიტაცა შენკენ... ახლა, ჩემო სულის დუხჭირო! რას შვრები. მითხრეს, თუ ბედნიერათ ცხოვრებ, თურმე მდიდრდები, კეთილ მდგომარეობაში შედიხარ. ამბობენ, ფული ბევრი გაქვსო.

— არა-მეთქი, მე ყოველსავე თავი დავანებე. ბევრს ფულს ბევრი თავის ტკივილი მოსდევნებია, ავიღე და რაცა მქონდა, სხვებს დაურიგე: ეგეც თქვენ და თავის ტკივილიც თქვენ-მეთქი.

— მაშ ეხლა თითიცით გატლეკილი ხარო, მითხრა გაკვირვებით პოლიტიკამ!

— გახლავარ მეთქი.

— ო—ო, ეგ კი არ მეგონა!.. ცუდი გიქნიათ, ცუდი! თქვენმა მზემ არ მეგონა!.. შეიდობით. მე ახლავ უნდა გიახლოთ, ხომ მოგეხსენებათ ოჯახი, სახლკარი, დაიდარაბა....

— დაიცადეთ, მეც ძალიან მიამა შენი ნახვა, ჩემო თვალის ჩინო პოლიტიკა. აქ იყავი, დარჩი ჩემთან, რამდენსამე დღეს ერთად ვიცხოვროთ.

— ოჰ, მეც როგორ მენატრებოდა ეგ ამბავი, მაგრამ ახლა...ახლა კი უკაცრავათ გახლავარ, ველარ, ველარ მოვიცდი.. გამიშვი შენი ჭირიმე, ეშურებოდა პოლიტიკა, რომ ველარ დავიჭირე, კალთაში ხელი ჩავატანე.

— მაშ მეც თან გამოგყვები-მეთქი.

— აჰ, როგორ შეიძლება, რას ბრძანებთ, დაიქანცებით: გზაზე ტალახებია, მოკვდებით — დეპეშა მომივიდა ახლათ ახლავე ისევ უკან წამოდიო, მოუწერიათ ცოლი გიკვდებაო.

— აი, მეც ეს არის მოვდივარ, გარგი არა მაქვს რა გატლეკილი თავის მეტი.

— ადგილი... ადგილი არ არის ჩემ კარეტაში. გამიშვი, შენი ჭირიმე, მეჩქარება, თუ ახლავე არ წავედი, მოვიკლავარ და ის არის.

— წაიდეთ, წაიდეთ, მეც ძალიან მსურს ჩემი რძლის ნახვა, ვაიმე საწყალო, მოგიკვდა შენი მაზლის თავი, მართლა ძალიან ავათ ხარ! წავიდეთ, წავიდეთ...

მეც ვეშურები და თან კალთაში ხელს არ ვაცილებ. — კოზლაზე დავჯდები და რომ არ წამოგყვე, ჩემი საყვარელი რძალი რომ არ ვნახო, მაგას როგორ? ვიზამ-მეთქი.

— ჰო... კოზლაზე.. კოზლაზე წვიმით გაიწუწები, ავათ რომ გახდე ცალკე ჩემი ცოლიც მოკვდება. ცალკე ახლა შენც რომ თავზარი დამცე შენი ავათმყოფობით! არა გეთაყვანე, ნუ მიზამ მაგისთანა უბედურებას ნუ დაღუპავ ჩვენს ოჯახს. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ!

— აი ღმერთმა ნუ ქნას, თუნდა კიდეც მოკვდე, მაინც შენი ცოლ-შვილი მაგისთანა უბედურებაში არიან და მე არ ვნახო, მაგისთანა გულქვავი ღმერთმა ნუ მამყოფოს. შენ ჩემმა სიყვარულმა მაშინ მოგიყვანა, როცა კარგათ ვიყავი და მე... მე რაღმერთი გამიწყრება, რომ უბედურებაში გყავდეს შენი ოჯახი და იმის სანახავათ არ გავეშურო. არა, მოვდივარ, სწორეთ მოვდივარ. მეწყერი, ზღვა, კლდე, თუნდ ქვეყანაც ჩამოიქცეს! მაინც ვერაფერი დამაკავებს, ვუთხარი.

მიეიხედ-მოეიხედოთ ცოტაოდნათ. აი რუსეთი, აი ყაზანის ან პსკოვის უსწავლელი, გამოუცდელი, მიყრუებული გლეხები— ისინიც კი საერთოთ უვლიან თავიანთ მამულებს, საზოგადოთ აწესებენ ყველამ ხარჯი გავწიოთ, ყველამ გავაუმჯობესოთ ნიადაგიო, ყველამ მოვაყაროთ ჩვენს მიწებს ნაკელი ან ჭაობები საერთოთ დავაშროთო. ნუ თუ რაც მიხვდა და გამოძებნა ყაზანის ან პსკოვის გლეხმა იმას ქართველი, კახელი ან იმერელი თავადები ვერ უნდა ახერხებდენ და იყენებდენ? შესაძლებელია განა ეს, ან აზრში მოსასვლელია ვისმესთვის?

ნათქვამია „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას განახებო.“ აი გაჭირვებაც. ვნახოთ ეხლა რამდენათ მოახერხებენ ჩვენი თავადები გაქცევას კი არა, პატრონობას და გონიერს მოქმედებას. დროცაა, იცის ღმერთმ.! თორემ დღეს ტყეები გამოგვეცალა ხელიდამ, ხვალ მიწა-წყალი გვეკარგება, ზეგ ვენახები გვიხდება, მაზეგ სწავლის შეძლებაც ხელიდამ გვიცურდება, მაშ ბოლოს რაღა დაგვრჩება, რითი გვედგმება სული, რითი შეგვეძლება ცხოვრება? შრომას ჩვენ შეუჩვეველნი ვართ, სწავლა ჩვენ არა გვაქვს, გაველენა რახანია დაგვკარგვია,—რაღა დაგვრჩება ბოლოს, თუ ჩვენ თვითონ ჩვენს თავს არ მოუელით და გაჭირვებას გონიერათ და მოხერხებულათ თავიდამ არ ავიცილებთ?

ნუ თუ ჩვენ ჩვენი თავის მტრები ვართ, და მართლა ჩვენი თავის დაღუპვა და გაღატაკება გვსურს, ჩვენი საბოლოო დაცემა გვწყურია?

ნ. სკანდელი

— ჩვენი რედაქტორი ს. მესხი ამ ჟამათ სამზღვარს გარეთ იმყოფება, პარიჟში, სადაც ის რამდენიმე თვე დარჩება. მისი მაგიერობა აქ ქირილე ლორთქიფანიძემ იკისრა.

— ამ მოკლე ხანში სამზღვარს გარეთ

— აი, ნუ მიზამ მაგისთანა საშინელს საქმეს, გამიშვი, შენი ჭირიმე, გამიშვი.

—როგორ? არ გინდა მე რომ წამოგყვე? აკი ჩემისთანა საყვარელი, რომლისთვისაც ასე შორს წამოსულხარ, არავინ გყავდა. მეც რომ შენთან წამოვიდე, ერთად მოუაროთ ჩემს გაჭირებულს რძალს, ის არა სჯობია?

— ოჰ, მაგას რა ემჯობინებოდა, მაგრამ რომ არ მოხერხდება!....არა, არ მოხერხდება... უკაცრავათ, მაგვიანდება, შვიდობით, შვიდობით... და ერთი ასეთი მკრა გულზე ხელი, რომ კალთაში ხელი გამაშვებინა და ძირს დაეეპერტყე. ისე გაიქცა, თვალიც ველარ მოვასწრე.

— ვა! ეს რა ამბავია! სიყვარული, ღრმა თანაგრძნობა! და ასე უშვერათ, უგულოთ მტრულად მოქცევა. ეს რა ამბავია! ნუ თუ ცხადია, ან იქნება სიზმარი იყოს მეთქი' ვთქვი ჩემს გუნებაში... აა, მივხედი! იქნება პოლეტიკა მხოლოდ მაშინ მევლებოდა თავს და ჩემს უძვირფასესი არა ჰყავდა რა ქვეყანაზე, როცა ჩემი ჯიბეები ფულით სავსე ეგულებოდა. თუ ეს მართალია, მაშ მოდი ერთი შტუკას ვუქ ჩემს პოლეტიკას.

სურათი მეორე

ვიშოვე ათი ოქრო, წავედი, საცა იდგა პოლეტიკა და კარებზე მივურახუნე.

— ქარი რკინისა!

— ვინა ხარ? ხმა მოვესმა. ის იყო პოლეტიკას ბიჭი.

— პოლეტიკას ძმა.

— შინ არ არის.

— სად არის? ეკითხე.

— ქალაქს წავიდა.

— ოჰ, ძალიან სამწუხაროა. ერთი ათი ოქრო მქონდა, მინდოდა გამეტანებია.

—ბაღლე, ბიჭო, კარი, გაღლე, ჩქარა გაღლე. ჰატ, შე პადლეცო, როგორთუ შენ ჩემს ძმას აქამდის კარი არ გაღლე!—მოისმა შიგნითგან პოლეტიკას ხმა.

„ძინგ, ძინგ, ძინგ.—ბახდა კლიტეს წკრიალა, კარი გაიღო და პოლეტიკამ ხელები გადამხვია: „ოჰ, ჩემო თვალის სინათლე ძმაო!“

—აკი, წასვლას აპირებდი საჩქაროთ? „დიახ, ცხენებს ველი,—ამ პადლეცმა ბიჭმა რა საქმე მიყო, მე წამძინებოდა და შენ თურმე ბევრი გერახუნებია კარებზე, რომ შენი ხათრი არა მქონდეს, სულს ამოვართმევ მაგას მე. როგორ გაბედა მაშინვე კარი არ გაგიღო! სხვა, ჩემო სულის კუნჭულო, დაჯექ. მოდი ერთად წავიდეთ?...უცბათ მირჩია.

ამდროს ჩემი პოლეტიკას სახე წმინდა მაიმუნის სახეთ წარმომიდგა, რომელიც საძაგელის სახის დალმეჭით კუდს იქნევს და პატრონს ხელში შესცქერის, იქნება კაკალი გადმომიგდოსო.

ოჰ, რა შემეზიზღა პოლეტიკა! თვალებში შევაფურთხე, უცბათ გამოეტრიალდი და შინ მოვედი.

მიდის ჩვენი თანამშრომელი ბ. წერეთელი, რომელსაც მიზნათ ფილოლოგიის და ისტორიის შესწავლა აქვს, იმ მხრით, რომელიც ჩვენი ქვეყნის წასრულს ცხოვრებას შეეხება.

— მაგიერათ ჩვენ შეგვიძლია ვახაროთ ჩვენს მკითველებს მეორე ჩვენი თანამშრომელის დაბრუნება: „პარიჟელი წერილების“ და „თანამედროე შენიშვნების და სურათების“ ავტორი, დ. მიქელაძე, ამ კვირეა პარიჟიდამ დაბრუნდა და ამ დღეებში „დროების“ რედაქციის შრომაში გაებმება.

„დროების“ კორრესპონდენცია

ქუთაისი, 8 ოქტომბერს 1873

ქუთაისის კეთილშობილთ შეკრებილებამ ივნისის თვეში მისცა თ. სიმონ აბაშიძეს სამიათასი თუმანი (30,000 მ.) გირავოს ქვეშ. ეს ჯამი სანამდინ ბანკი გაიხსნებოდეს მანამდის უნდა იქჰნეს მის ხელში ექვს პროცენტათ, და მემდგომ იმ წესით უნდა დარჩეს მის ხელშიდ, რომელსაც დასდებს ბანკის მართველობა. ზემოდაწერილი რაოდენობა ფულისა მიეცა თ. აბაშიძეს 29 წარსულს სექტემბერს, მაგრამ აი რა ნაირათ მოხდა ეს მიცემა: ქუთაისის ხაზინამ მისცა თ. აბაშიძეს ექვსასი სერიის ბილეთები (თითო ხუთ-ხუთ თუმნიანი), რომელიც შეადგენს ოცდა ათი ათას მანეთს, მაგრამ თითო ბილეთს თან ჰქონდა ორ-ორი კუპონი (სარგებლის ნიშანი), რომლებსაც ვადა გაუვიდა ამ ოქტომბრის პირველს. ეს კუპონები შეადგენენ ორიათას ხუთას ოთხმოცდა თორმეტს მანეთს(2592)ესე იგი თ. აბაშიძეს მისცეს ნამდვილათ 32592 მანეთი. ამ დროს მეც დაველწარი და როცა ვკითხე ხაზინადარს, პასუხი ეს მიგო, რომ ის არ არის ვალდებული სარგებელი იანგარიშოს, მას მხოლოდ თავნი უწერია წიგნში და მხოლოთ იმას აძლევს, და რაც გაყვა კუპონები მას იგი არ იანგარიშებს და არც მისი ვალია. რასაკვირველია რაც მეტი წაიღო აბაშიძემ, ესე იგი 2592 მ., ორმა კომისიის წევრმა გამოართვეს და კიდევაც მოინდომეს წარდგენა უკანვე ხაზინაში, მაგრამ, სიტყვით უარი უთხრა მათ და მერმეთ რაღა ქნეს კი ალარ ვიცი.

ეს შემთხვევა ნამდვილი არის, და მისთვის გწერთ, რომ გამოცხადდეს „დროებაშიდ.“ იქნება ან ღმერთმა და ანკაცმა შეხედოს ჩვენის აზნაურების საჭიროებ.ს.

სურათი მესამე

— რასაიქ, ჩემო გულის ვარდო, ზულეიხან?

— შენს ბედნიერებას, ჩემო სიამოვნების წიწმატო, ფულეიხან!

ეუბნებოდენ ერთმანეთს ორი მშვენიერი ახალ გაზდა შეყვარებული. ვინ წარმოიდგენდა იმათს სიყვარულს, იმათს ერთმანეთისათვის თავგანწირულებას! ისინი იყვნენ მდიდარნი და ბედნიერნი. მაგრამ შავმა ბედმა დაჭექა. ახალგაზდა ვაჟმა სიმდიდრე წაგო. მოიღრუბლა პირმნათი ფულეიხან. მას თავს დატრიალებს ზულეიხან; მაგრამ გარე-გარეთ წადის ზულეიხან.

—შვიდობით ბძანდები, ზულეიხან? შეეიდა ერთს საღამოს იმასთან „ჯიბესქელი“ ახალგაზდა და ჰკითხა.

— რაა ჩემი მშვიდობა! ჩემი ქმარი ფულეიხანის ხელში რატომ არ დამიტირებ? რატომ არ გიკვირს, ან აქამდის რათა ვარ ცოცხალი! მომკლა, დამანელა ფულეიხანმა. აღარც მხიარულება, აღარც სიცილი. მერე ცოტა ხანს იქით ერთმანეთს გადახვევენ ხელს და იმღერებენ:

ჯიბასქელი
მოდი ჩემკენ ზულეიხან,
მე ვარ შენი საყვარელი.
რ.ღათ გინდა ფულეიხან,
მთლათ დაეხა ჯიბე სქელი.

ზულეიხან.
„ფულეიხან კოტორია,
მე აბა ის რას მარგებს,
უჯიბოთ ტრფობა ჭორია“,
ზულეიხან დამღერებს.

ერთად.
ზულეიხანს ჯიბესქელი
ყოველთვის მიითვისებს.
ფულეიხან ყელსაბელი
მოიპოვე. მგ გარგებს.

სურათი მეხუთე

ორი წარჩინებული კაცები მოდიან ვზაზე და ერთმანეთთან ძალიან ზდილობიანათ და მოწიწებით ლაპარაკობენ.

— ვერ წარმოიდგენ, ჩემო ძვირფასო დიპლომატა, რამდენათ მიღირს შენი დაველება. ეს ამდენი ხანია, რაც მედაშენ ვმეგობრობთ, ერთმანეთს და ჯერ კიდევ ვერ გავჯერებულვართ ერთმანეთის ალერსით და თანაგრძნობით. მე მაინც დიდი დავალებული ვარ, დიდი შენის მრავალგვარის სიკეთისაგან. ყოველს უკმაყოფილებაში შენ იყავ ჩემი დედა ბურჯი. შენს თანაგრძნობაში ვეძებდი გულის გადაყრას.

—დარწმუნებული ბძანდებოდეთ, ჩემო მფარველო, რაც ჩემის ცდის და მოხერხებისაგან შეიძლება, მე ყოველთვის თქვენი ყურმოჭრილი მონა და მოსამსახურე გახლავარ. მეც თქვენი ერთგულობისაგან ველი ყოველსაევ ბედნიერებას და დიდებას ამა სო-

---

პეტერბურგი, 21 სექტემბერს.

დიდათ მოხარული ვარ, რომ დღეს მოგეცა შემთხვევა შორიდგან გამოველაპარაკო მკითხველს და მერმე როგორ? სასიამოვნო ამბებიც ვაცნობო, იმისთანა ამბები, რომელზედაც დღეს ჩვენ ყველას თვალ-ყური გვიჭირავს. მაგრამ საიდამ დავიწყო? ეჰ! მაგას რა კითხი უნდა, იქიდგან უნდა დავიწყო, საიდგანაც ჩვენს საქართველოს ფულის სუნი მიზდის და გაფაციცებით ელის ჩქარა გაიმართოს ისეთი რამ, რომ იქიდგან მალე ფული ისესხოს. მაშ ისევ ბანკის ამბავს მოვყვები. ამ მოკლე ხანში ჩვენ ნამდვილათ შევიტყეთ, რომ მინისტრი დაუბრკოლებლივ წარადგენს ამ მოკლე ხანში დასამტკიცებლად სახელმწიფო რჩევაში (Государственный Совѣтъ) ჩვენის (თფილისის) ბანკის წესდებულებას. სხვა და სხვა პირნიც დიდს იმედს იძლევიან, რომ სახელმწიფო რჩევა მაგ წესდებულებას დაამტკიცებს. ჯერ ეს ამბავი გვახარებს და გახარებთ. ალავერდი ქუთაისის ბანკო! ერთი, შე დალოცვილო, იახშიოლი გვითხარი და! ეს ერთი და ღმერთი. ახლა მეორე: ჩვენ ესეც ნამდვილათ შევიტყეთ, რომ ერთი ბანკირის სახლი (контора) ცდილობს, რომ ჩვენის ბანკის გირაო ფურცლებისათვის ნაღდი ფული შემოიტანოს და ამის თაობაზედ მოლაპარაკების სურვილიც გამოუცხადებია, მაგრამ ლაპარაკი ჯერ არ დაწყობილა. ამ გირაო ფურცლების გასაღებისათვის სხვაც ბევრი გზები სჩანს. ესეც გვახარებს და გახარებთ. ამით გავათავოთ ფულის საქმე და სულის საქმეს შეუდგეთ.

ამ დღეებში ენახე ჩვენი პატივცემული მოღვაწე დავით იასეს-ძე ჩუბინოვი, რომელიც ამ მოკლე ხანში დაბრუნდა სამზღვარს გარეთიდან. მისგან შევიტყეთ, რომ ეს ჩვენი მოხუცი პროფესორი ორნაირს სარგებლობას უპირებს ჩვენს ლიტერატურას. პირველი, რომ სწერს საქართველოს შინაგანი ცხოვრების ისტორიას და ამზადებს დასაბეჭდად ახალს უფრო ვრცლად შევსილს ლექსიკონსა. მადლობა და პატივი მას, ვინც თავის შეძლებისამებრ თავის შრომას არა ზოგავს თავის მამულისათვის!! ბოლოდ ამისა, იგი აპირებს, რომ თავისი მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა თავის სახსოვრად შესწიროს თავის ქვეყანას. ძიდევ მადლობა და პატივი მას, რომლის გულშიაც ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში დაუვიწყარია თავისი მშობელი ქვეყანა!

ძიდევ სულის საქმე. აქ, პეტერბურგში, ჩვენი ყმაწვილები სთარგმნიან პირდაპირ ინგლისურიდგან შექსპირის ტრაგედიას „ქორ ლ ლირ ს“. აქ შესანიშნავი ის კი არ არის, რომ პირდაპირ დედანიდგან სთარგმნიან, არამედ ის არის, რომ შექსპირის გარეგანი სიტყვების ფორმა სრულიად გამოაქვთ ქართულს ენაზედ იმ ლექსთ-წყობილებით, რომელიც აქამომდე ჩვენს ლიტერატურაში არა ხმარებულა, ესე იგი თოთხმეტ მარცლოვანის ლექსით ურითმოთ. ამბობენ, რომ ეგეთი ლექსთ-წყობილება ჩვენს ენას უხდება და კეთილხმოვანიც არისო. ისიც გავიგეთ, რომ „ძრებულის“ რედაქციას მალე გაუგზავნიან დასაბეჭდათ ჯერ მარტო პირველ მოქმედებას, იმ აზრით, რომ პირუთნელმა კრიტიკამ სთქვას, რაოდენად მთარგმნელნი შესწედნენ შექსპირს და შესაფერი იქნება თუ არა ამგვარად თარმანის გაგრძელება. *)

ჯერ-ჯეროობით ესეც გეყოფათ. რუსები ამბობენ хорошаго по немногу. ჩვენც ეგე ვთქვათ და დავსვათ წერტილი დუმილებისა.

ვ. მაჩაბელი.

უცხო ქვეყნები

თანამედროე შენიშვნები და სურათები

პარიჟში გამოდის ერთი გაზეთი, რომლის მიმართულებას რესპუბლიკური ხასიათი აქვს. ამ გაზეთს ჰქვიან „L'Avenir National“. არც ერთი პარიჟის გამოცემა არ ლაპარაკობდა

*) ვალით დიდის მოუთმენლობით და მადლობით.
რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასავით გესლიანი და ნაღველიანი ენითა. Არც ერთი მწერალი არ ჰყოფილა ისეთი შეუბრალებელად და სასტიკად საქმის გამჩხრეკი, როგორც Avenir-ის თანამშრომლები.

რესპუბლიკელ პარტიაში, ამ გაზეთს უპირველესი ადგილი ეჭირა, როგორც თავის გამბედავი და მკვირცხლი აზრებითა, ისე თავის დამოუკიდებელი მოქმედებითა. ეს გაზეთი იყო ორგანი იმ დამარცხებული მოძრაობის მომხრეებისა, რომელთაც შეიფარეს თავი პარიჟში. ისევ ამ გაზეთში ნახავდით თქვენ იმ პარტიის დრტვინვას და სიძულვილს, რომელიც ტიერმა ასე უმოწყალოდ გაჟლიტა სამოცდა თერთმეტში, მაისის დღეებში. ეს ორგანი იყო მათი უკანასკნელი ნავთსადგური. დღემდი ყველაფერი ბედნიერად მიდიოდა. „Avenir“ გაცხარებულათ ებრძოდა რესპუბლიკის მოწინააღმდეგებს; დემოკრატია ტაშს უკრავდა მას და გაზეთი თან-და-თან იძენდა გავლენას საზოგადოებაში. მაგრამ, აქ მოხდა ერთი მოულოდებელი და საზარელი საქმე. გაზეთი ერთბაშათ ჩამოვარდა თავის სიმაღლიდგან. მტერმაცა და მოყვარემაც, ყველამ თავის უპატივცემულობა განუცხადა მას.

აი მიზეზი: ყველამ იცის, რომ მონარხიელები—გარდა ბონაპარტისტებისა—ერთმანერთში მორიგდენ და შეიკრიბენ თუ არა პალატა სურთ შამბორის მეფეთ მოწოდება. ეს გადაწყვეტილი საქმეა. რესპუბლიკელი პარტია თუმცა არ არის დარწმუნებული მონარხიელების გამარჯვებაზედ, მაგრამ შიშში რომ ძალიანშია, ამის დამალვა მოუწყობელია. აი ამ გარემოებამ ისე დააფთხო გულჩვილი Avenir-ის რედაქტორი Ედვარდ-პორტალისი, რომ ერთ დღეს პრინც ჟეროომ-ნაპოლეონს წიგნი მისწერა. ამ წიგნში, პორტალისი კავშირის შეკვრის სურვილს უცხადებს ჟეროომს და რესპუბლიკელებს შუა. პორტალისი ეუბნება პრინცს, რომ ნაპოლეონი და რესპუბლიკელები ორივენი რეოლიუციის შთამამაელობა ვართო, რომ ჰენრის V ტახტზედ ასვლა იმდენათ ასაღელვებელია ჩვენთვის რამდენათ თქვენთვისაო. ამ საფუძვლების გამო პორტალისი ურჩევს ჟეროომ-ნაპოლეონს შემოუერთდეს რესპუბლიკელ პარტიას და ერთად ებრძოლონ შუა-საუკუნეს წესების წარმომადგენელ პრეტენდენტს—შამბორს.

Avenir-ის აზრით ნაპოლეონთან კავშირი იმისთვის არის სასარგებლო დემოკრატიისთვის, რომ ხალხში ნაპოლეონის სახელით ბევრს გაელენას და სიყვარულს მოიპოვებს რესპუბლიკაო.

მიიღო თუ არა ჟეროომ-ნაპოლეონმა ეს მოწოდება, იმ წამს დასწერა წიგნი გაზეთის რედაქციასთან და გამოუგზავნა საკუთარის ადუტანტის ხელით. თავის პასუხში ჟეროომი ლიბერალობს, რასაკვირველია, და სრულს კმაყოფილებას აცხადებს მზგავსი კავშირისთვის. ის ანბობს, რომ ვისაც გულში კი ნაპოლეონის ხელოვნა არის, ის უთუოდ არ იტყვის უარს ამ ორი დემოკრატიის შეერთებაზედაო, ე. ი. რესპუბლიკელების და ბონაპარტელებისა. ამ წამიდგან ეს გაზეთი და ჟეროომ-ნაპოლეონი შეიქნენ ერთ სული და ერთ ხორცი.

მეორეს დღეს ორივე წიგნები დაბეჭდილი იყო ამ გაზეთში. მე არ მგონია, რომ ერთს ვისმეს წაეკითხოს ეს ანბავი და უკიდურესი გაკვირვება არ გამოხატულიყოს მის სახეზედ. ზოგი ხვედა და კუშტიდა გაზეთის ფურცელს, ზოგი მწუხარების თვალით დასცქეროდა ამ ორ წიგნს, ზოგი გესლიანათ დასცინოდა. ამნაირი შთაბეჭდილება იქონია იმ უბედურმა კავშირმა საზოგადოებაზედ. ეხლა შეხედეთ რას ანბობს აქაური პრესსა:

„რესპუბლიკელ პარტიასთან კავშირის შეკვრა—ჰყვირის გაცეცხლებული პოლდე-ანასანიკი (ბონაპარტისტი) თავის „პეიში“, ჟეროომ ნაპოლეონის მხრით საზარელი ღალატია! ჩვენ თამამად მოვახსენებთ იმპერატორის ბიძაშვილს, რომ ბონაპარტელი პარტია არ გაიკვრის თავისთავს კომმუნარებთან და ავაზაკებთან შეერთებით. თქვენ სადაც გინდათ იქ წაბრძანდით, ვისაც გინდათ იმას ჩაეხვიეთო. თქვენ არა გყავს არც მეგობარი, არც პარტია. თითონ თქვენ, პრინცო, გარეშე თქვენის შთამომაელობისა არაფერი არ ბრძანდებით და ჩვენ გვიხარის, რომ მოგეშორდით. თქვენ ისეთი საპატიო ადგილი გეჭირათ ჩვენს პარტიაში, რომლის ღირსი არ იყავით. იცოდეთ დღეის იქით, თქვენ ჩვენთვის მკვდარი ხართ—აღარ არსებობთ!“ ეს აზრი გამოსთქვა დანამთენმა ბონაპარტიულ გაზეთებმა, მაგრამ უფრო გაზრდილად, უფრო უფერულად.

ლეგიტიმისტების და ორლეანების გაზეთები გახარებული არიან ამნაირ შემთხვევაზედ და ეუბნებიან საზოგადოებას: აი შეხედეთ რა ხალხია ეს რესპუბლიკელები და ბონაპარტიელები! ბუშინ ერთმანერთსა სჭამდენ და დღეს კავშირს კრავენო. მარტო ჩვენზედ უნდა იყოს დარწმუნებული საზოგადოება და ამ შარლატანებზე სამუდამოთ უნდა აიღოს ხელიო.—უკანასკნელად ტიერის მომხრე გაზეთები და ბამბეტასი ერთხმათ ამაგებენ პორტალისის მოქმედებას. „ბიენ პუბლიკა“ იქამდის მიდის, რომ პორტალის ქრთამის აღებასაც კი სწამებს. „საფრანგეთის რესპუბლიკა“—ბამბეტას ორგანი—ამაყი სიტყვებით ათავებს თავის აზრს: არც ბურბონი, არც ბონაპარტი. რესპუბლიკის დროშა მარტო რესპუბლიკელებისგან უნდა იქნეს დაცული. ჩვენ უარს უყოფთ იმისთანა კაცებთან კავშირს, რომელთაც ორჯელ თავისუფლება წაართვეს ხალხს, მოსპეს რესპუბლიკა და გასტეხეს ფიცი! რესპუბლიკას და ბონაპარტეს შუა იმდენი სისხლია დანთხეული, რომ კავშირი აღარ არის შესაძლო! „რაპპელმა“ წაყრუება მოინდომა, მაგრამ მკითხველებმა გამოიწვიეს გამოუცხადებინა მასაც თავისი აზრი: „უსარგებლოა რომ ვსთქვათ ჩვენ არ ვეთანხმებით პორტალისის გადაწყვეტილებას, ანბობს ის და ამატებს: „ჩვენის აზრით Avenir-ის მოქმედება იმასა ჰგავს, რომ კაცს ცხელების შიში ჰქონდეს და ხოლერა დაიმართოს განგებო.“

შესანიშნავი ის არი, რომ ერთ გაზეთს არ გამოუცხადებია მთელ საფრანგეთში თავის თანაგრძნობა ამნაირ კავშირზედ.

დარჩა Avenir-ი და პრინცი ჟეროომ-ნაპოლეონი ყველასგან მოძულებული. მართლა: უნდა გითხრათ, დაბეჭდა თუ არა ნაპოლეონის წიგნი პორტალისმა, ორმეტმა თუ ცამეტმა თანამშრომლებმა თავი დანებებულ ამ გაზეთში მუშაობას იმ დღესვე. ამათ შორის ძალიან შესანიშნავი ჟურნალისტებია. მაგ. ანრი მარე, ქენტენ, ბილლმო, ტონნი-რეილლიონ, დენი და სხვ. ესენი აცხადებდენ გაზეთში, რომ მათი სინიდისი და ღირსება არ აძლევს მათ ნებას განაგრძელონ შრომა ამ გაზეთში. საძაგელ მდგომარეობაში დარჩა საბრალო პორტალისი! ჭეშმარიტად, რომ სამწუხაროა ამნაირი მოუფიქრებელი ნაბიჯით კაცის დაცემა. ეჭვი არ არის, რომ Avenir მოუყვიდველი გაზეთია და მას თავის მოქმედების დროს რესპუბლიკის სარგებლობა ჰქონდა აზრში. მაგრამ ქვეყანაზედ ბევრი იმისთანა პირებია, რომელთან შეერთება, არა თუ გამოადგება საქმეს, არამედ ავნებს.

ცხადია, ისეთი საეჭო პრინციპების კაცი, როგორც ჟეროომ-ნაპოლეონია—სერის მის მოკავშირეს. მაგრამ Avenir-ის გასამართლებლათ ესეც უნდა ვსთქვათ: განა ბურჟუაზელი პარტიასთან ერთობა ნაკლებათ ამცირებს ნამდვილ რესპუბლიკელების ზნეობას? განა ქაევნიაკს, ტიერს, ფაერს—ამ რესპუბლიკელებს ნაკლები სისხლი დაუქცევიათ ხალხისა, ვინემ ნაპოლეონს? ჩვენ როგორც ვიცით ეს ორი პარტია ხალხის შეურაცყოფით, თავისუფლების და სამართლიანობის შეგინებით, თავის მოწინააღმდეგობის შეუბრალებლობით—ერთი მეორეს არ დაუვარდება!

კიდევ ერთი გზა დალუკვისა

„მშაკის“ წარსულის წლის მეცხრამეტე ნომერმა თავის მოწინავე სტატიაში მიაქცია მკითხველების ყურადღება ქაევკასიაში ტყეების შემცირების შესანიშნავ კითხვაზე და ეკონომიურად გამოძიებით ამა მოვლენებისა ცხადათ გამოგვიხატა, თუ რა უნუგეშო მოსავალი მოელის ჩვენს ქვეყანას.

ამ ჩემი სტატიის მიზანი ის არის, რომ ვაჩვენო, თუ ჩვენის ამისთანა უთავბოლო და დუდღევარი ეკონომიური ქცევის მიყოლით რანაირათა ელუპავთ ჩვენს თავსა.

ფლათ. ჩვენს მზრუნველობის ქვეშ ჩავარდნილი ქვეყანა ერცელი და უხვია. რამდენსაც ღრმათ ჩაჰყოფ შიგ ხელს, იმდენი უფრო ბევრი სიმდიდრე და ცხოვრების საშუალება ამოდის. იცოცხლე და სტკბებოდე.

— მე, ჩემო დიპლომატა, შენის სიყვარულით და თანაგრძნობით, შენის შეწევნითა ვარ მხოლოდ ბედნიერი, ეუბნება „მფარველა.“ ამ ყოფაში რომ არიან ორი გულითადი მეგობარი, უუმეგობრესი და უსაყვარლესი ერთმანერთისთვის ყოველს სულდგმულზე და არსებაზე, ამ დროს მოდის შიკრიკი და მოაქვს კანვერტი, რომელსაც გადასცემს „მფარველას.“ ის გახსნის კანვერტს და როცა თვალს ჩაავლებს, სახე დაუგძელდება განცვიფრებისაგან და ტუჩები შტვირათ გადაექცევა. მფარველა უცბათ დასხტება ხელითგან დიპლომატას და მესამე დღეს აი, რა მოხდება.

სურათი მეექვსე

ერთი პაწაწა ოთახია, სტოლზე ქაღალდები ძევს, მფარველა ჯერებით ვარსკლავებით დიდებულათ ზის თავის საჯდომელსაზედა მის წინ დიპლომატა სდგას პირმოქუშული, წელში მოხრილი და თმა აბურდული.

— ვინ გითხრა, უფალო დიპლომატა, რომ ხალხი მაგდენათ შეავიწროვეო?

— მაქეს პატივი მოვახსენო თქვენს უუუალმატებულესობას, რომ მე ხალხი არ შეშიწუხებია, გარდა იმისა რაც თქვენს უუალმატებულესობას...

— სუ, გაჩუმდი, თორემ ახლათ ახლავე იქითკენ გ გისაჭებ, საიდგანც ცოტანი მობრუნებულან. როგორ გაბედე ამდენის აღება, როგორ? ხომ იცოდი, რომ მე მაგისთანა საქმეს არ შეგარჩენდი? როგორ ვერ მოისაზრე, ისე მოქცეულიყავი, რომ არც მწვადი დაგეწვა, არც შამფური. განა არ იცოდი, რომ თუ მაგისთანა საქმეში ჩაებმებოდი ჩემი სამეგობრო პირი აღარ გექნებოდა?

— რა ექნა, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

— მეორეთ აღარ თქვა. სადაური მეგობარი, ვინ მეგობარი, სად შენ, სად მე! შენ იმის პასუხი მომეცი, რაც გიკეთ კაცნია.

— განა არ იცით — უპასუხა მთრთოლვარებით დიპლომატამ.

— თქვენ არ მიბძანებდი ხოლმე.

— სსუუუ!

— მეც თქვენის კეთილდღეობისათვის ეზრუნავდი!

— სსუუ!.. გაგიჟდი! ყარაულ! ყარაულ! ყარაული შემოვარდება.

მოკიდე ხელი მაგას და საპყრობილეში ჩასვი.

თურმე ნუ იტყვი, მფარველას და დიპლომატას კუდი-კუდზე ჰქონიათ გადაბმული: შენ იღე და მე მაძლიეო—უთქვამს მფარველას შენც ჩემს რიგში თავი ირჩინეო. დიპლომატასაც ასე მოუხერხებია, მაგრამ ახლა, როდესაც კანვერტით განკითხვის დღე დამდგარა, მფარველას თავის მეგობარ დიპლომატასთვის ჩაუბამს საბელი ყელში, ხეზე ჩამოუკიდნია და ყველა ცოდვები იმისთვის მოუხვევია კისერზე.

აი, სურათები იმ ჩემი კუთხისა, რომელიც უწინ ასე ტკბილი იყო ჩემი გამოხატულებისათვის. არც შვენიერი ბუნება, არც გამაცოცხლებელი ჰაეა აღარ ამხიარულებს ჩემ გულს, არ ამხიარულებს, ამიტომ რომ შიგ ცხოვრება და ცხოვრებითი დამოკიდებულება საკუთარი სარგებლობისა და ანგარების მოყვარების ძებნაზე მხოლოდ დაყენებული. ყოველი კაცი მარტო თავისთვის და მხოლოდ თავისთვის ჩიჩქნის ამ ქვეყანას. აქ ყოველი სულიერი თავის საკუთარი ხორცის დასაკმაყოფილებელ საშუალებისათვის სხვა მისებრივ სულიერებს უყურებს როგორც მასალას, როგორც ნივთს, რომელიც შეიძლება კიდეც დააგირაო, კიდეც გაყიდო, იყიდო, გატეხო, მოკლა, მოსწოვო, როგორც სატაცური და გააგდო სანეხვეზე. ამგვარის ურთიერთობისგამო ორი კაცი რომ ერთად შეიყრება, ერთი მეორის გასაცნობათ და დასამეგობრებლათ, ჯერ თავიდგან ფეხებამდის აათვალიერ-ჩაათვალიერებს ერთი მეორეს, როგორც საკლავს ხარს, რომ შეიტყოს, რამდენი ლიტრა ქონი გამოუა ჩემს სხვერპლს, რომელსაც დღეს ასე მეგობრულათ ვექცევი და სიყვარულით ხელს ვართმევო, ან რამდენს მისხალს ოქროს სარგებელს მომცემს, როდესაც აღებმიცემობის ბაზარში გავიყვან და გავყიდო. ამ კანონის ძალით თუ ადვოკატს დაუმეგობრდი, ჯერ თვალებში შეგხედავს და მერე გკითხავს რამდენი თუმნის სადაო საქმეები გაქვსო; თუ ვაჭარს გაეცანი, მაშინვე კანჭებზე შემოგხედავს და გკითხავს, რამდენი ქვითკირის სახლი, ან რამდენი დღის ვენახი გაქვს დასაგირავებელიო; თუ ბანკში შეხვედი, ყოველი მოანგარიშე გკითხავს ნეუტოიკას თუმანზე რამდენს თუმანს მომცემო; თუ ლამაზს ქალს შეხვედი, ან ჯიბაზე შემოგხედავს, ან მკერდზე—რამდენს წელიწადს მეყოფა შენი შემოსავალიო. ამ სახით ყოველს კაცს თავის თავი კერპათ გაუხდია და მხოლოდ იმას ფიქრობს, რომ როგორმე ბევრი კაცების სიცოცხლე შეწიროს ამ თავის კერპსა. აღარც ჭეშმარიტი სიყვარული, აღარც კაცის ღირსება, აღარც საერთო სიკეთის ძიება. მარტო საკუთარი მუცელი და იმისთვის სხვისი დაკლა. ჯოჯოხეთი არ არის, მაშ რა არი! ჩქარა, ჩქარა, გადი ჩემო თავო გაკვაძლულ ქვეყნითგან, ჩქარა მოშორდი, თორემ მხეცები შენს ტყავსაც კბილს გაუყრიან. ოჰ, როდის იქნეს მხსნელი გამოჩნდეს, რომ ჯოჯოხეთი კვლავ დააქციოს და იმის ალაგას ის სამოთხე გააშენოს, სადაც კაცები ქვეყნის საქმისთვის საკუთარს მუცელს ივიწყებდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდო ევროპიელ ტომებს თვისებითა აქვთ იმოქმედონ არა მხოლოდ აწმყოისათვის, არამედ მომავლისათვისაც; ისინი იმას ცდილობენ, რომ მომავალი თაობის გასაკეთებელი საქმე შეძლების დაგვარათ შეასუბუქონ და ამთავითვე გაამზადონ იმისთანა რიგიანათ შემუშავებული მტკიცე საფუძველი, რომ შემდგომში იმ საფუძველზედ აღემართოს და შეურყეველად დაიცვეს ცივილიზაციის შენობა. ევროპიის სწავლულ კაცებს გამოუკვლევიათ და ჩვენც დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენც იმ ინდო-ევროპიულ ტომთ ჩამომავლობას ვეკუთვნით, მაგრამ ჩვენს ენაში და ცხოვრებაში კი სულ წინაღმდეგს ვხედამთ, ჩვენი ყოფა-ქცევა ისეთი არ არის, როგორც ეკადრება ჩვენს ჩამომავლობას. ჩვენ ისე უეკონომიუროთ ვიქცევით, რომ ინდო-ევროპიული ჩამომავლობისანი კი არა, თითქო მონგოლები ვიყოთო, ან იმათგან მიგველოს ესრეთი მავნებელი წესი და კანონი ეკონომიურს ცხოვრებაში.

განათლებული გვარების ხალხს ამ ჩვენს საუკუნეში იმ სისრულემდინ მიუხწევიათ, რომ ყველა მოვლინებას თუ ბუნებაში და თუ საზოგადოებაში ცდილობენ კარგა გამოიკვლიონ და თუ იგი მავნებელია ან კერძო ვინმე პირისათვის, ან მთელი საზოგადოებისათვის, მაშინ კარგი გამოძებნის შემდგომ, თუ რა არის პირველი მიზეზი იმ მოვლინებისა, რაც ღონე აქვთ, შეელიან სამკურნალოთ და სხვა სამეცნიერო სწავლის საშვალობით.

აი სწორეთ ამის გამოისათ არის, რომ ამ ბოლო წლებში დიდი ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ საცა ტყე ნაკლებათ არის, ან ყოფილა და ადამიანის ხელს ძირიანად ამოუგდია, იქ გახშირებულან ნიაღვრები, ჩამოვარდნილა სიხმელე და მომხდარან სხვა და სხვა მოვლინებაები, რომელთაც დამღუპავი ზედმოქმედება ჰქონებიათ ხალხის კეთილდღეობაზედ. ეს გარემოება რომ ფულისყურით და უფრო დაახლოვებით გამოუძიებიათ, უნახამთ, რომ იმ უბედური შემთხვევების მიზეზი სწორეთ უტყეობა ყოფილა, რომ იქაურ მცხოვრებლებს ტყეები დაუზოგავად უჭრიათ სხვა და სხვა საჭიროებისათვის.

ბრიოდე სიტყვა საკმაო იქნება, რომ ავხსნათ, თუ რანაირი დამოკიდებულება აქვთ ამ მოვლინებაებს ერთმანეთზე.

ხშირი და გაშლილი ტყის თვისებაები ზოგიერთის ნაწილით მეხანიკურნი და ზოგიერთითაც ხიმიურნი ან ფიზიოლოგიურნი არიან. ტყის მეხანიკური თვისება ის არის, რომ როცა დიდი ქარები ატყდებიან ხოლმე, იმისთანა ქარები, რომელიც ხშირად ამოვარდება მინდორ ანუ ვაკე ადგილზედ, ტყეები, მაგარ ზღუდესავით წინ დაუხვდებიან, მაშინ ის ქარები თავიანთ ძალას დაჰკარგავენ ხოლმე, ნაწილ ნაწილებათ იქცევიან და მაგოდნათ მავნებელი გაელენა აღარ ექმნებათ გაშენებულ ადგილებზედ, რომ შენობაები დაანგრიონ, ნათესები გაახმონ, თან წაიღონ ჰაერის სინოტივე და სხვ. ტყის ფიზიოლოგიურ თვისებას უფრო ბევრნაირი გაელენა და ზედმოქმედება აქვს, რადგანაც მისი საფუძველი თვით ხის ფიზიოლოგიურ ცხოვრებაში იმყოფება.

ყოველი ხე, რომელსაც თავის ფესვებით მეხანიკურად უკავია თავის გარეშემორტყმული მიწა, მიიზიდავს ჰაერისაგანაცა და მიწისაგანაც რაც თავის სიცოცხლისათვის სინოტივეა საჭირო, ხოლო რაც იმას გადაეჭარბება, იგი გამოდის მიწიდამ, შეერთდება და აქედამ შესდგებიან ხოლმე რუები, რომელნიც მიჩქრიალებენ ხოლმე ტყეში, რადგანაც მზე მაშინათვე ვერ იჩენს მათზედ თავის სიცხის ძალას, რომ ოშხივრათ გარდააქციოს და დააშროს. წვიმებიც, რაც უნდა კოკურად ასხამდნენ, ბევრს ვერას დააკლებენ, მისთვის, რომ მიწა სწოვს ამ სინოტივეს და ამგვარად თავის დონაზე რჩება ამ რუების მომდინარეობა.

წინააღმდეგ ამისა, აშკარა საქმეა, რომ სადაც ტყე არ არის იქ ვერა დაუშლის რა, რომ წვიმებისაგან შემდგარმა ნიაღვარმა თავისი დამღუპველი გაელენა არ იქონიოს იმ მხარეზედ. ამნაირი დიდი წვიმები უფრო მავნებელნი არიან იმ მთიან ალაგებში, სადაც ალმართ დალმართებში და ფერდობებში ტყე არ არის, რადგანაც იმ მთების პოხიერ მიწას, რომელსაც შეეძლო დიდი სიცოცხლე მიეცა მოსავლიანობისათვის, ნიაღვარი სულ ერთიანათ ძირს ჩალეკამს და ის ადგილები კი, რომელსაც წინეთ ჩალეკილი მიწა ჰფარავდა, გატიტვლებულ ციცაბ კლდეებათ რჩებიან. გარდა ამისა ნიაღვარი რომ მოვარდება, რაკი გზაზე მაგდენათ დამშლელი არა დაუხვდებარა, ღონივრათ ჩადის ძირს და რაც იქ შენობები არიან სულ ერთიანათ ანგრევს და საბრალო მცხოვრებლებს ხელცარიელ სტოვებს თავიანთის ქონებისაგან. ამისთანები იყვნენ ის ნიაღვრები, რომელნიც ამ ბოლო წლებში მოვარდნილან ბოლემიაში; ამისთანანი არიან ის საშინელი და დამაღარიბებელი ნიაღვრებიცა, რომელნიც ხშირათ მოვარდებიან ხოლმე იტალიაში.

გარდა ამისა კიდევ ის მავნებელი შედეგი აქვს ნიაღვრის მოვარდნას, რომ სახნავ-სათესი მიწები თანდათან კლებულობენ, და ამას მოზდევს დაღარიბება ხალხისა. ეს კიდევ ცოტაა, იმ ნიაღვრის წვიმები რომ ერთათ შეგროვდებიან, შეადგენენ ათ ბებს, ალპობენ ორგანურ სხეულებს და აი ამის გამო არის, რომ გამოჩნდება ხოლმე ეპიდემიური სნეულებაები.

სხვა რომ სულ არა ვთქვათ რა იმ სარგებლობაზედ, რომელიც მოაქვთ ტყეებს თუ ჰაერის სუფთათ შენახვით და თუ სანაქებო ჰაერის დაყენებით, რაც ზემოთა ვთქვით იმითაც კარგა მიხვდებით, თუ რა ზიანი წარმოსდგება უტყეობისაგან.

ეს ხომ ცხადი საქმეა, მაგრამ ჩვენკი ჩვენის ჩვეულებრივის დაუდევრობით და წინდაუხედაობით, ნაცვლად მისა, რომ დავთესოთ ან ხელახლა დავრგოთ ტყეები, როგორც სხვა ქვეყნების განათლებული მცხოვრებლები ჩადიან, ხელს არ ვიღებთ, რაც ტყეებია დარჩენილი იმასაც სულ ძირიანათ ვაგდებთ და იმისთანა საჭიროებაზე ვახმარებთ იმათ, რომელზედაც კაი ხანია ევროპაში და ამერიკაში შეშის ალაგას ქვა-ნახშირსა ხმარობენ. აი ამითია, რომ ვებაძებით მონგოლების ყოფაქცევას, რომელთა დროშა არის— ცხოვრება აწმყოსათვის და შეურაცხყოფა მომავალისა *).

დოქტორი ანდ. არწრუნი.

ზემოთის სამართალი

II ამბავი.

„დაჯდა ტახტსა ზედა თვისა ლომი იგი განსასჯელათ დიდთა და წვრილთა ცხოვართა. და ფრინველნი — მიმინონი და ყვავნი თავს დასწვიან და დაჩხავიან ნიშნად მარცლსაჯულებისა მისისა“.

Igavi

ერთს შვენიერს დღეს ზემოთის სამოსამართლო დარბაზში მაუდით შემკულს ტაბაკზე ელაგა სამართლის წიგნები, ქაღალდები, საწერკალამი და სხვ. შემოვიდა მოსამართლე, დაჯდა, დაიწყო სამართალი. დარბაზში იყვნენ ბევრი აზნაურები, ზოგიერთი თავადი და მრავალი გლეხი. ისინი ისხდენ მოსამართლეს მოშორებით ჩუმათ.

—ბლეხების მწუხარაძეების და თავადის ედიშერა ტყავმაძრობელას შორის საჩივარი საურმე გზაზე“—წამოიძახა მოსამართლემ. წარმოსდგენ წინ რამდენიმე გლეხები ერთის მხრით და თვითონ ედიშერა ტყავმაძრობელა მეორეს მხრით. ედიშერას შეხედულობამ გამაკვირვა. მაღალი ერთს საჟენს აღარა უკლდარა; მოსული, გულგადაშლილი, ბეჭებზე ცულის ტარი არ გადაწვდებოდა. ჩოხა დაკაპიწებული ჰქონდა, თითქოს ეს არის მუშტი კრივში გამოდისო. იმან გადაავლო მრისხანე თვალი გლეხებს, გადიკეცა სახელოები და ხელები დამუჭა, თითქოს საწყალ გლეხებს ანიშნა: დამაცელეთ მე თქვენო.“ ბლეხები ერთ არშინ ნახევარი სიმაღლე, ძლიერ იყვნენ, წელში მოხრილები, დახავსიანებული წვერებით, ფეხ-ტიტველანი, თმებში პურის ღერები ჰქონდათ გაჩრილი, ფერდები შეკრული, გულ ჩავარდნილი, თვალებ მიმქრალი, სახეზე დაღრეჯილები, თითქოს უსიტყოთაც შეღიეოდენ მოსამართლეს: განა არ იცი ჩვენ შორის ვინ უნდა იყოს უფრო დამნაშავეო.

— თ. ედიშერა გიჩივი'თ საურმე გზა შემიკრესო მწუხარაძეებმაო. რას იტყვით ამაზე.

— არა ბატონო, თავის დღეში იმ ალაგას საურმე გზა არ ყოფილა, რაც ყანები გვქონია და მომკილზე, ან ჭინახულს როცა მოვიყვანთ, მერე უბრალო მინდერებზე მთელი ქვეყანა დადის.

— არა, ბატონო მოსამართლე, ეგენი ტყუილს ამბობენ, განა მაგათი გჯერათ? აბა რა კაცები არიან, რომ მაგათ მართალი თქვან? ერთი შეხედეთ, მაგ პირუტყვებს, ზედ სახეზედ ეტყობათ, რომ ეგენი სტყუვიან.— წამოიძახა ედიშერამ.

— რას იტყვით თქვენ ამაზე —მიუბრუნდა გლეხებს მოსამართლე.

— ჩვენ რა უნდა ვთქვათ შენი ჭირიმე. მთელი ქვეყანა იტყვის, რომ იმ ალაგებში ყანობაზე ყოველთვის ჭირნახული გვქონია და ყოველთვის შეკრული გვქონია. მთელი ქვეყანა იტყვის მაგას.

— თქვენ რას იტყვით თ. ედიშერა— მიუბრუნდა მოსამართლე.

— მე მოწმებს წარმოვიდგენ ხუთ კაცს, რომელნიც ფიც ქვეშ იტყვიან, რომ მე მაგ გლეხების ადგილზე გზა მქონია.

— ბადით თქვენ—უთხრა მოსამართლემ გლეხებს, შემოიყვანეთ მოწმები.

შემოველენ ხუთი კაცი: იმათში სამი აზნაურია და ორი გლეხი.

— შენ ვინ ხარ?

— მე გახლდი ამ ათი წლის წინათ ედიშერას მოურაე და მოწამე.

— შენ?

მეორე მოწამე.—მე ამ ოთხი წლის წინათ გახლდი ერდიშერას ბეგარის მკრეფელი. აშენა ღმერმა, ყოველთვის ათის თავს მაძლევდა. ახლაც რომ მივალ ყოველთვის პატივსა მცემს, დაუთრობელს არ გამიშვებს. უნდა მოგახსენო—ეს კარგათ ვეცხადურებოდი. ბევრჯერ დამიწიოკებია გლეხები მაგის ერგულობის გულისთვის.

— შენ?

მესამე მოწამე.—მე ახლაც მოურაე გახლავარ მაგისი, ძალიან კარგი კაცია, ბატონო, ედიშერა, თავის დღეში უსამართლობა არ უქნია. თავისას არ შეარჩენს და სხვისა კი არა უნდა რა.

— შენ?

მეოთხე მოწამე.—მე, შენი ჭირიმე, ედიშერას შვილების გამზდელი გახლავარ. მაგისმზეს მიწაზე არ დავაგდებ. ღმერთმა მიცოცხლოს მაგის თავი, ძალიან მწყალობელია ჩემი. სულ დასატყავებელი არიან ეს გლეხები. როგორ არ აძლევენ გზას ჩემს ედიშერას! რომ არ ევლოს მაგათს ყანებში, რაკი რომ ედიშერამ ინება და ბძანა, რატომ მაშინვე არ გაარღვიეს თავის ყანები? ბრიყვები არიან, შენი ჭირიმე. ერთი ეგენი დაატუსაღეთ კარგათ, მაშინ კიდეც შეეხვეწებიან ერდიშერას, მობძანდი, იარე ხარ-ურმით ჩვენს ყანებზეო.

— შენ?

მეხუთე მოწამე.—მე, შენი ჭირიმე, ერთი ღარიბი აზნაურშვილი გახლავარ. ედიშერას ვთხოვ, იქნება როგორმე ერთი შვილი მაინც გამიზარდოს. ბევრს არასა ვთხოვ: თავის თავთან იყოლიოს, ჩაცვას, დაახუროს, ასვ.ს, აჭამოს და იმსახუროს.

— მართალია, რომ ედიშერას მწუხარაძეების ყანებში გზა ჰქონიათ.

ყველანი: ჰი, ბატონო... ჰქონია, სწორეთ ჰქონია.

— რათი დაამტკიცებთ?

ყველანი.—ბეგარა ურმებით გვიზიდავს, ბატონო, მწუხარაძეების ყანებზე.

— შეგიძლიან დაიფიცოთ?

. . . . . შემდეგ ფიცისა მოსამართლემ გადასჭრა სამართალი: თ. ედიშერა ტყავძრობელამ მოიგო საქმე. ბლეხებს მწუხარიძეებს უნდა გაერღვიათ თავისი'ა ყანე ადგილები და მიეცათ საურმე გზა ედიშერასთვის.

სასამართლოს ბალკონზე

მწუხარიძეები და მოწმები გამოვიდენ სასამართლოს გარეთ და ატყდა დიდი აყალმაყალი.

პირველი მწუხარიძე.—ისემც ღმერთმა თქვენ მართლად გატაროსთ ქვეყანაზე, როგორც მართლა თქვენ დაიფიცეთ.

— მეორე მწუხარიძე.— ვინ დაიფიცა, ავათ?

პირველი მწუხარიძე. დაიკარგეთ იქით! ეს არის კარგი სამართალი!.. წინა კვირას მოსამართლე თ. ედიშერას ჰყავდა მიპატიჟებული და იმის მერე, მგონია, ხუთი მოსაკითხი კიდევ გაუგზავნა. იმისკენ გადაჭრიდა სამართალს, მაშ რას იზამდა?

განცხადება

მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და ივანოვის ბიბლიოთეკაში იყიდება ცალკე წიგნებათ:

„ქრებული“

№№ 1, 2, 3, 4, 5—6, 7, 8 და 9.

თითო წიგნის ფასი ათი შაურია.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიათ „ქრებულის“ რედაქციაში სამი აბაზის მარკა გამოგზავნონ თითო წიგნის მისაღებათ.

გოლლანდიური ყველი, ამოყვანილი ყველის ქარხანაში, რომელიც ბორის მაზრის მემამულეებმა გამართეს უფ. ახვლედიანის ხელმძღვანელობის ქვეშ, ისყიდება თფილისსში უ ფ. ქ ე თ ხ უ დ ო ვ ი ს მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე (Дворцовая улица) არწრუნის ქარვასლაში. თითო ვირვანქის ფასი ორი აბაზია.

---

*) ეს სტატია დაბეჭდილი იყო სომხურათ „მშაკში“ (№ 34), დ ქართულათ გადმოთარგმნილია ტერ-დავით იარალიანცისაგან.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Октября 1873 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა ბამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი ა. ლორთქიფანიძე.